ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

ე.წ. "ჭაობის დასახლებაში" ქუჩების კეთილმოწყობის პირველი ეტაპის სამუშაოების შესყიდვის

ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. ბათუმი

2015

სარჩევი

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები 3

2. ტექნიკური დოკუმენტაცია 5

3. ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ 8

4. მონაცემები პრეტენდენტის ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ 11

5. დანართი №10, ფასების ცხრილი 19

6. დანართი №11, საბანკო გარანტიის ფორმა 20

7. დანართი №12, ნახაზები და სპეციფიკაციები 21

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12[1] მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე.

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

1.2. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ბ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან (საგადასახადოდან) ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ;

1.3. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა:

ა) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ (წინადადების მიღება დაწყებულია);

ბ) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების (ელექტრონული სახით) წარმოდგენა შესაძლებელია სისტემის მეშვეობით;

გ) არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. შესყიდვის ობიექტის მოცულობა:

ა) ქ. ბათუმში, ე.წ. "ჭაობის დასახლებაში" ქუჩების (მონაკვეთების) კეთილმოწყობა, კერძოდ:

- 9 მარტის ქუჩის გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილიტაცია;
- 26 მაისის ქუჩის გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილიტაცია;
- ბერიძის ქუჩის გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილიტაცი;
- დემეტრე თავდადებულის ქუჩის გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეა-ბილიტაცია;
- გრიბოედოვის ქუჩის (შესახვევით) გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილიტაცია;
- ჰ. აბაშიძის ქუჩის გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილიტაცია;
- იმედაშვილის ქუჩის (შესახვევით) გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილიტაცია;
- ჯავახიშვილის ქუჩის გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილიტაცია;
- კალიევის ქუჩის (შესახვევით) გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეა-ბილიტაცია;
- კანდელაკის ქუჩის (შესახვევით) გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეა-ბილიტაცია;
- ლერმონტოვის ქუჩის გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილიტა-ცია;
- ლორიას ქუჩის გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილიტაცია;
- ლუკა ასათიანის ქუჩის გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილი-ტაცია;
- მერკვილაძის ქუჩის გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილიტაცია;
- ფალავანდიშვილის ქუჩის გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილი-ტაცია;
- პუშკინის ქუჩის გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილიტაცია;
- პუშკინისა და ტბელ აბუსერიძის დამაკავშირებელი ახალი ქუჩის გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილიტაცია;
- სამხრეთის ქუჩის გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილიტაცია;
- შავშეთის ქუჩის გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილიტაცია;
- შევჩენკოს ქუჩის გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილიტაცია;
- სულაბერიძის ქუჩის გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილიტაცია;
- თაყაიშვილის ქუჩის გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილიტაცია;
- ვაჟა-ფშაველას ქუჩის გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილიტა-ცია;
- წერეთლის ქუჩის გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილიტაცია;
- ს. ხიმშიაშვილის ქუჩის გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილიტაცია;

ბ) ქ. ბათუმში, ე.წ. "ჭაობის" დასახლებაში 9 მარტის, 26 მაისის, ბერიძის, დემეტრე თავდადებულის, იმედაშვილის, კალიევის, ლუკა ასათიანის, მერკვილაძის, ფალავანდიშვილის, პუშკინის (მელიქიშვილის ქუჩიდან შავშეთის ქუჩამდე), სამხრეთის, შევჩენკოს, სულაბერიძის, ვაჟა-ფშაველას, წერეთელის, ლერმონტოვის, თაყაიშვილის, ს. ხიმშიაშვილის, პუშკინის (მელიქიშვილის ქუჩიდან ჯავახიშვილის ქუჩამდე) ***ქუჩების სანიაღვრე სისტემების მოწყობა*** - **იხ. დანართში N10 და N10ა.**

2.2. ტექნიკური პირობები:

2.2.1. შესასრულებელი სამუშაოები:

ა) შესასრულებელი სამუშაოები **იხ. დანართში N10 და N10ა.**

ბ) სანიაღვრე სისტემების მოსაწყობი უბნები მდებარეობს ქ. ბათუმში, ე. წ ,,ჭაობის უბანში'' და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ზოგიერთ ადგილებში არსებობს ძველი სანიაღვრე სისტემები, მაგრამ სიძველისა და მრავალი დაზიანებული კერების არსებობის გამო სისტემა გამართულად არ ფუნქციონირებს. პროექტი ითვალისწინებს ახალი დახურული სანიაღვრე სისტემების მოწყობას, რადგან ძველი სისტემების საკვანძო ქსელი და მილსადენები იმდენად დაზიანებულია, მათი გამოყენება მიზანშეწონილი არაა.

პროექტი ითვალისწინებს გზის აღნიშნულ მონაკვეთებზე, გამოსაყენებლად ვარგისი სანიაღვრე არხების გაწმენდას და ახალი დახურული სანიაღვრე სისტემის მოწყობას. სანიაღვრე სისტემის ძირითად მაგისტრალად გამოყენებული უნდა იყოს პლასტმასის სქელკედლიანი (DN=200 კედლის სისქით 0,955 სმ DN=250 კედლის სისქით 1,15 სმ; DN=300მმ კედლის სისქით 1,195სმ DN=350 კედლის სისქით 2,8 სმ;) მილები. იგივე სახის და დიამეტრის მილები გამოყენებული უნდა იქნას ნიაღვარდამჭერ ცხაურებამდე და სათვალთვალო ჭებზე დაერთების წერტილამდე. სანიაღვრე ცხაურები, სათვალთვალო ჭები უნდა გასწორდეს გზის მოწყობის საპროექტო ნიშნულამდე. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოებისას შემსრულებლის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს დასაპროექტებელ მონაკვეთზე გამავალი სხვადასხვა კომუნიკაციების ადგილმდებარება, რათა გამოირიცხოს მათი დაზიანება. პროექტი დამუშავებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად. ტოპო–გეოდეზიური სამუშაოები ჩატარებულია ელექტრონული ტახომეტრით LEIKA TC-705. პროექტი დამუშავებულია სამეცნიერო–საწარმო ფირმა ТОПОМАТИК-ის მიერ დამუშავებული სპეციალური პროგრამით ROBUR-Автомобилние дороги და ArchiCAD.

საპროექტო ობიექტის მშენებლობა განისაზღვრება საამშენებლო ნორმების და წესების მიხედვით СниП-3.06.03.–85. СниП–1.04.03–85: მშენებლობის მოსამზადებელი პერიოდში უნდა მოხდეს:

- ქუჩის ზოლის ნაწილის გადაკეტვა/მონაკვეთებად/;
- დროებითი შენობების მოწყობა ჯგუფურად;
- ნაპირების გაწმენდა;
- სამშენებლო ნაგავის გატანა.

სამუშაოების წარმოება უნდა განხორციელდეს მონაკვეთებად. თითო მონაკვეთის სიგრძე უნდა იყოს პკ–დან პკ–მდე. სამუშაოების დრო უნდა მოხდეს ქუჩის ზოლის ნაწილობრივი გადაკეტვა. სამშენებლო მოედანზე სამუშაოთა წარმოება ყველა ეტაპზე

უსაფრთხოების დაცვა მოხდეს СниПIII–4–80* შესაბამისად; ა/ბეტონის მოხსნამდე არსებული ქალაქის ქუჩების პირობებში, უნდა იყოს გათვალისწინებული დასამუშავებელი მონაკვეთის შემოღობვა დროებითი ამკრძალავი ლენტებით.

2.2.2. გამოყენებული მასალები:

ა) ბაზალტის ბორდიური - ბორდიურის მასალა - ბაზალტი; მასალის ხარისხი - гост 6666-81 და гост 9479-98, წახნაგის მოჭრით;

ბ) ორშრიანი დეკორატიული ფილა - ახალი, ფილების მახასიათებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნას: ბეტონის სიმტკიცე შეკუმშვისას-30 მპა (მეგაპასკალი), ბეტონის წყალშთანთქმა-არაუმეტეს 6%, ბეტონის ცვეთადობა-არაუმეტეს 0.9/კვ.სმ, ბეტონის ყინვაგამძლეობა-არ უნდა შეიცვალოს თვისებები არანაკლებ F-200 ციკლზე. მასალის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ГОСТ 17608-91-ის ან ევროსტანდარტის EN 1338-2007 მოთხოვნებს. ფილების I შრე უნდა იყოს 4,5-5 სმ. სისქის. II შრე 0,8-1 სმ. სისქის სპეციალური მაღალხარისხიანი ფერადი პიგმენტითა და ცემენტით შექმნილი ფენა. ფილების ფერი უნდა შეთანხმდეს შემსყიდველ ორგანიზაციასთან;

გ) ყველა გამოყენებული მასალა უნდა იყოს მაღალხარისხიანი და აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ყველა სამშენებლო ნორმასა და სტანდარტს. ყველა მასალა, მოწყობილობა, საკომპლექტო ნაწილი, სამარაგო საგანი, მოწოდებული კონტრაქტის ფარგლებში, უნდა იყოს ახალი, უხმარი, სტანდარტული, მაღალი ხარისხის, საუკეთესო დონეზე დაპროექტებული და დამზადებული. უხარისხო ან დაბალი ხარისხის მასალები, მოწყობილობები და საკომპლექტო ნაწილები არ მიიღება და მათი გამოყენება არ იქნება ნებადართული;

2.2.3. ინფორმაცია საქონლის მახასიათებლების შესახებ:

ა) პრეტენდენტმა გამარჯვების შემთხვევაში, ხელშეკრულების გაფორმების შემდ-გომ, მოწოდებამდე უნდა წარმოადგინოს გამოყენებული მასალების ნიმუში - ბაზალტის ბორდიურის 1 ეგზემპლარი, ორშრიანი დეკორატიული ფილის 2 ეგზემპლარი, სხვადასხვა ფერის, ასევე ლაბორატორიული დასკვნა საქონლის მახასიათებლების შესახებ და შეათანხმოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან;

ბ) ლაბორატორიული დასკვნა საქონლის (ბაზალტის ბორდიური, ორშრიანი დეკორატიული ფილა) მახასიათებლების შესახებ გაცემული უნდა იყოს სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ.

2.2.4. სამუშაოთა შესრულების წესი:

სამუშაოების წარმოების პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ წესებსა და ნორმებს. სამუშაოების შესრულების პროცესში პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის შემოფარგვლა და დამცავი გამაფრთხილებელი თვალსაჩინოების და შუქნიშნების დაყენება. მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.

მიმწოდებლების მასალებისა და კონსტრუქციების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და სამშენებლო ნორმებს. სამუშაოს დაწყებისთანავე წარმოდგენილი იქნეს სამუშაოს წარმოების ჟურნალი. შემსრულებელმა უნდა აწარმოოს ფარული სამუშაოების აქტები იმ სამუშაოებზე, რომლებზეც საჭიროა აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოება.

მშენებლობის დროს აუცილებელია СНиП-ებით ხელმძღვანელობა, შესრულება და დაცვა მათი მოთხოვნებისა შრომის დაცვასა და უსაფრთხოების ტექნიკაში. მომუშავენი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და ასევე უნდა სრულდებოდეს საერთო კოლექტიური დაცვის ღონისსძიებებიც. აუცილებელია უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის და ხანძარსაწინააღმდეგო მომქმედი წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების დაცვა. სამუშაოების შესრულებისას, მიმწოდებელმა თითოეული სამუშაოსთვის უნდა უზრუნველყოს ისეთი უსაფრთხო და ადამია-ნის ჯანმრთელობისათვის უვნებელი სამუშაო პირობები, რის შესაძლებლობასაც იძლევა საქმიანობის ხასიათი. ყველა სამუშაო უნდა შესრულდეს იმ ადგილობრივი და სახელმწიფო კანონების, კოდექსების, მოთხოვნებისა და დადგენილებების შესაბამისად, რომლებიც ეხება ადამიანთა უსაფრთხოებას, ჯანმრთელობის დაცვასა და კეთილდღეობას. შემსრულებელი კარგად უნდა იცნობდეს და უნდა ემორჩილებოდეს ყველა სამშენებლო წესს, რომელიც კანონითაა დადგენილი.

შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაოთა უსაფრთხოებისათვის საჭირო ყველა წესისა და ინსტრუქციის შესრულება, რათა შეძლებისდაგვარად აიცილოს უბედური შემთხვევები და მინიმუმამდე დაიყვანოს თავისი მუშაკების და სხვა ადამიანთა ზარალი. სამუშაო ტერიტორიაზე უნდა იყოს შესაბამისი ნიშნები და გაფრთხილებები.

სამუშაოთა წარმოების დროს განსაკუთრებით ყურადღებით უნდა შესრულდეს მიწის სამუშაოები ჭრილში კომუნიკაციების (ელ. კაბელის, გაზსადენის, წყალსადენის და სხვა) ფარგლებში. აუცილებელია სამუშაოთა წარმოების ზონაში მოხვედრილი კომუნიკაციების მფლობელთა თანდასწრება და მათი მოთხოვნების გათვალისწინება. შემსრულებელმა უნდა ჩაატაროს ღონისძიებები, მიიღოს უსაფრთხოების შესაფერისი ზომები და განახორციელოს ყველა საჭირო სამუშაო ხელშეკრულების ფარგლებში, შეათანხმოს აღნიშნული სამუშაოები შესაბამის სამსახურებთან, მის სამუშაო ტერიტორიაზე ელექტროენერგიის, ტელეგრაფის, ტელეფონის ხაზების, ბუნებრივი გაზის სადენების და სხვა კომუნალური აღჭურვილობის დასაცავად და მათზე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად. აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები უნდა გაიღოს შემსრულებელმა. შემსრულებელმა უნდა დაიცვას და გაათავისუფლოს დამკვეთი ყოველგვარი პრეტენზიისაგან, მოთხოვნისაგან, სარჩელისაგან, ზარალის ანაზღაურებისაგან და ხარჯებისაგან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ზემოთაღნიშნული ზემოქმედების შედეგად ან მასთან კავშირში. შემსრულებელი ვალდებულია სათანადოდ დაიცვას ყველა შენობა, ნაგებობა, დანადგარი, კომუნიკაციები დაზიანებისაგან და გაფუჭებისაგან ხელშეკრულებისის მოქმედების პერიოდში. შემსრულებელმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა შენობის, ნაგებობის, მილსადენების, კაბელების, კანალიზაციის, რკინიგზის და სხვა კომუნიკაციების დასაცავად.

<u>სხვადასხვა მიწისქვეშა კომუნიკაციის შეხვედრის შემთხვევაში შემსრულებელმა საკუთარი სახსრებით უნდა უზრუნველყოს კომუნიკაციის გადატანა მისი დაზიანების გარეშე. შემსრულებელმა საკუთარი სახსრებით უნდა უზრუნველყოს არსებული მეორადი მასალების ტრანსპორტირება ქ. ბათუმის მერიის საწყობში.</u>

2.2.5. სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა:

მიმწოდებელი პასუხისმგებელია:

- შეასრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით;
- უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქ-მედების მინიმუმამდე დაყვანა;
- მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოებთან დაკავშირებული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა გარემოზე;
- ყველა სახის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება შეთანხმებული უნდა იყოს ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურთან;
- სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი თავისი ძალებით და სახს-რებით 5 დღის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნა-გე-ბობებისაგან და ა.შ.

2.2.6. ექსპერტიზის დასკვნა შესრულებულ სამუშაოებზე:

ა) ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია სამუშოების (ყოველი ქუჩის ან ქუჩის მონაკვეთის (გზაჯვარედინიდან გზაჯვარედინამდე)) დასრულების შემდგომ, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა ყველა შესრულებული სამუშაოს შესაბამისობაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. (აკრედიტებული პირის მიერ გაცემულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამა-დასტურებელი დოკუმენტის ასლი).

2.2.7. ნახაზებისა და სპეციფიკაციების ჩამონათვალი:

ა) ნახაზები და სპეციფიკაციები იხილეთ **დანართში №12-1 – 12-25.**

2.3. ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ:

2.3.1. ინფორმაცია პრეტენდენტის სამუშაოთა გამოცდილების შესახებ:

ა) ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს (შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს) ქვე-კონტრაქტორ(ებ)თან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2012, 2013, 2014) და 2015 წლის 1 ოქტომბრამდე შესრულებული უნდა ჰქონ-დეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის (საავტომობილო გზების, ქუჩების მშენებლობა ან/და რეკონსტრუქცია ან/და მოდერნიზაცია ან/და რეაბილიტაცია) სამუშაოები საერთო ღირებულებით არანაკლებ 35 000 000 (ოცდათხუთმეტი მილიონი) ლარის ოდენობით.

ბ) უშუალოდ პრეტენდენტის (ქვე-კონტრაქტორ(ებ)ის გარეშე) გამოცდილება უნდა შეადგენდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის (საავტომობილო გზების, ქუჩების მშენებლობა ან/და რეკონსტრუქცია ან/და მოდერნიზაცია ან/და რეაბილიტაცია) სამუშაოების არანაკლებ 75%-ს;

გ) ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას **ცხრილი N1**-ის შესაბამისად:

ცხრილი N1

N	სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება
1				
2				
…				
სულ				

გ) ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს (შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს), ქვე-კონტრაქტორის გარეშე, ერთ-ერთ ობიექტზე შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის (საავტომობილო გზების, ქუჩების მშენებლობა ან/და რეკონსტრუქცია ან/და მოდერნიზაცია ან/და რეაბილიტაცია) სამუშაოები 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარის ოდენობით;

დ) ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას **ცხრილი N2**-ის შესაბამისად:

ცხრილი N2

N	სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება
1				
2				
…				
სულ				

ე) ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს (შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს), ქვე-კონტრაქტორ(ებ)ის გარეშე, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2012, 2013, 2014) და 2015 წლის 1 ოქტომბრამდე შესრულებული უნდა ჰქონდეს სანიაღვრე სისტემების მშენებლობის სამუშაოები საერთო სიგრძით არანაკლებ 10 კმ-სა;

ვ) ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას **ცხრილი N3**-ის შესაბამისად:

ცხრილი N3

N	სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახელება	სანიაღვრე სისტემების მშენებლობა (კმ)	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება
1				
2				
…				
სულ				

ზ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (ხელშეკრულების ასლები, სამუშაოების შესრულების აქტი ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა). ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ქ. ბათუმის მერიის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.

2.3.2. ინფორმაცია ქვე-კონტრაქტორ(ებ)ის შესახებ:

ა) ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ ქვე-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორ(ებ)ზე წარმოდგენილი უნდა იქნას:

- ქვე-კონტრაქტორ(ებ)ის დასახელება და მისამართი;
- შესასრულებელი სამუშაოების დასახელება;
- შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება;

ბ) ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას **ცხრილი N4**-ის შესაბამისად:

ცხრილი N4

ქვეკონტრაქტორ(ებ)ი (დასახელება, მისამართი)	შესასრულებელი სამუშაოების დასახელება	შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება

გ) ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის (შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის) მიერ აყვანილ ქვე-კონტრაქტორ(ებ)ს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2012, 2013, 2014) და 2015 წლის 1 ოქტომბრამდე შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის (საავტომობილო გზების, ქუჩების მშენებლობა ან/და რეკონსტრუქცია ან/და მოდერნიზაცია ან/და რეაბილიტაცია) სამუშაოები საერთო ღირებულებით არანაკლებ 8 750 000 (რვა მილიონ შვიდას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით ანუ უშუალოდ ქვე-კონტრაქტორ(ებ)ის გამოცდილება (პრეტენდენტის გარეშე) უნდა შეადგენდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის (საავტომობილო გზების, ქუჩების მშენებლობა ან/და რეკონსტრუქცია ან/და მოდერნიზაცია ან/და რეაბილიტაცია) სამუშაოების არანაკლებ 25%-ს;

დ) ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას **ცხრილი N5**-ის შესაბამისად:

ცხრილი N5

N	სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება
1				
2				
...				
სულ				

ე) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ქვე-კონტრაქტორ(ებ)ის მიერ ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (ხელშეკრულების ასლები, სამუშაოების შესრულების აქტი ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა). ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ქ. ბათუმის მერიის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.

ვ) ქვე-კონტრაქტორ(ებ)ის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება პრეტენდენტის (შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის) საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლობაში;

ზ) ქვე-კონტრაქტორ(ებ)ის მიერ შესრულებული სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა არემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%-ს.

2.3.3. იმ შემთხვევაში თუ შესყიდვაში მონაწილეობს საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანია ან მისი ფილიალი და იგი იყენებს საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიის მონაცემებს (სამუშაო გამოცდილება, ბოლო სამი წლის და 2015 წლის 1 ოქტომბრამდე, ინფორმაცია ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ ან/და სხვა), ფილიალი ვალდებულია ერთობლივად წარმოადგინოს, როგორც თავისი, ასევე საზღვარგარეთ რეგისტრირებული სათაო კომპანიის მონაცემები, კერძოდ, ინფორმაცია უკანასკნელი 3 (სამი) და მიმდინარე წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების შესახებ, ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმდინარე კონტრაქტების ფარგლებში დარჩენილი სამუშაოების შესახებ, წარმოდეგილი ინფორმაცია შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს სატენდერო დოკუმენტაციის 2.3. პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. აღნიშნული ინფორმაციის დამადასტურებელი სათაო კომპანიიდან წარმოსადგენი დოკუმენტაციის ასლები სათანადო წესით უნდა იყოს დამოწმებული საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიის შესაბამის ქვეყანაში, რომლითაც დადასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტების ორიგინალთან (დედანთან) შესაბამისობა. აღნიშნული ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან.

2.4. ინფორმაცია პრეტენდენტის ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ:

ა) ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს (შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს) ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუ-თარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმი-ერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა.შ.) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამი-სი მინიმუმ შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

- ავტოგრედერი - 2 ცალი;
- ექსკავატორი - 2 ცალი;
- ბულდოზერი - 2 ცალი;
- ავტოამწე - 1 ცალი;
- სატკეპნი - 2 ცალი;
- ასფალტდამგები - 1 ცალი;
- ავტოგუდრონატორი - 1 ცალი;
- ავტოთვითმცლელი - 3 ცალი;
- ასფალტო ბეტონის ფრეზი - 1 ცალი;

- ავტობეტონსარევი - 1 ცალი;
- კომპრესორი მოძრავი (პნევმატური ჩაქუჩებით) - 2 ცალი;

ბ) საკუთრების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, სხვა შემთხვევაში – შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (საიჯარო, თხოვების ხელშეკრულების ასლ(ებ)ი, რომელიც ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას) კომპრესორის გარდა; ამასთან, უშუალოდ პრეტენდენტ პირს საკუთრებაში უნდა გააჩნდეს ტექნიკური პირო-ბების 2.4 პუნქტით მოთხოვნილი ყველა მანქანა-მექანიზმის მინიმუმ 50%;

გ) ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას **ცხრილი N9-ის** შესაბამისად:

ცხრილი N9

N	**მანქანა-მექანიზმების დასახელება**	**აღწერილობა, მარკა, მოდელი, ტიპი, ასაკი**	**რაოდენობა**	**მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)**	**საკუთრების ფორმა**
1					
2					
...					

2.5. ფასების ცხრილი:

ა) ფასების ცხრილი წარმოდგენილ უნდა იქნეს **დანართი №10 და N10ა** შესაბამისად;

ბ) ფასში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი;

გ) თუ პრეტენდენტი არ არის დღგ–ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე (პრეტენდენტმა შენიშვნის სახით უნდა მიუთითოს გარემოება, რის საფუძველზეც არ ითვლება დღგ-ის გადამხდელად);

დ) თუ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად, ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასიდან გამომდინარე, ერთეულის ფასები წარმოდგება მრავალნიშნა ათწილადის სახით, გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის შეამციროს ერთეულის ფასი და დაამრგვალოს მეასედებამდე. შესაბამისად, შეამციროს საერთო ფასიც;

ე) <u>იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, რაზეც პრეტენ-დენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამარ-თლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის დასკვნა (აკრედი-</u>

ტებული პირის მიერ გაცემულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი). ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯ-დომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-11–მე-14 პუნქტებით განსა-ზღვრული წესები.

2.6. ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:

2.6.1. ხელშეკრულების უზრუნველყოფის და წინასწარი ანგარიშოწრების (საავანსო) საბანკო გარანტია:

ა) გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უშუალოდ ბანკის მიერ გაცემული ხელ-შეკრულების საერთო ღირებულების 3%-ის ოდენობით, **დანართი №11**-ის მიხედვით;

ბ) ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ასევე საავანსო საბანკო გარანტია, წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ეროვნულ ვალუტაში-ლარში. ასევე, გარან-ტიის წარმოდგენა დასაშვებია უცხოურ ვალუტაში - აშშ დოლარში ან/და ევროში. უცხო ქვეყნების საბანკო დაწესებულებების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის დოკუმენტის ვალიდურობა დადასტურებული უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ან/და წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ავიზირება. იმ შემთხვევაში თუკი, გარანტია წარმოდგენილი იქნება უცხოურ ვალუტაში და სავალუტო კურსის ცვლილება (ლარის გამყარება) გამოიწვევს ხელშეკრულებით პირობების მიხედვით საგარანტიო თანხის შემცირებას, მიმწოდებელი ვალდებული იქნება გაზარდოს გარანტიის ღირებულება და წარუდგინოს იგი შემსყიდველს ყოველი ასეთი შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანს 10 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში შესაბამისი ღირებულების საბანკო გარანტიის წარმოუ-დგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშ-ეკრულება. საბანკო გარანტიები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგ-ენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

გ) იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორ-განიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შეს-რულების გარანტია 10%-მდე ოდენობით;

დ) ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 60 (სამო-ცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სა-მუშაოების შესრულების ვადას.

2.6.2. ანგარიშსწორების პირობა:

ა) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;

ბ) შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება, არა უმეტეს 10%-სა, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უშუალოდ ბანკის მიერ გაცემული საავანსო საბანკო გარანტიის საფუძველზე. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადას;

გ) მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან ავანსის თანხის გამოქვითვა განხორციელდება შესრულებული სამუშაოების მოცულობების შესაბამისად, ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები თანხებისა და მიღებული ავანსის პროპორციულად;

დ) შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება (ანგარიშსწორება) მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად შემდეგი წესით:

დ.ა) შესრულებული სამუშაოების (ყოველი ქუჩის ან ქუჩის მონაკვეთის (გზაჯვარედინიდან გზაჯვარედინამდე)) ღირებულების 85 % - მიღება-ჩაბარების აქტის, გადახდის სერთიფიკატის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

დ.ბ) შესრულებული სამუშაოების ღირებულების დარჩენილი 12.5 % - სამუშაოების (ყოველი ქუჩის ან ქუჩის მონაკვეთის (გზაჯვარედინიდან გზაჯვარედინამდე)) დასრულების შემდეგ, სსიპ - „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენის შემდეგ. იმ შემთხვევაში თუკი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მოხდება შესრულებული სამუშაოების ღირებულების კორექტირება, კორექტირებული მიღება-ჩაბარების აქტების, გადახდის სერთიფიკატების გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის კორექტირებიდან) 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში;

დ.გ) დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდში შესრულებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შემსყიდველი ახდენს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულების 2,5%-ის დაკავებას. დაკავებული თანხის დაკავება იწარმოებს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო დოკუმეტაციაში დაფიქსირებული თანხების პროპორციულად 2.5%-ის ოდენობით;

დ.დ) „დ.გ“ პუნქტის შესაბამისად დაკავებული თანხა მიმწოდებელს დაუბრუნდება სამუშაოების სრულად დასრულებიდან 2 (ორი) წლის (საგარანტიო პერიოდის) შემდეგ, მას შემდეგ, რაც ტექნიკური ზედამხედველი დაამოწმებს, რომ მის მიერ ყველა მითითებული დეფექტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღმოფხვრილია მიმწოდებლის მიერ, ან დაკავებული თანხა მიმწოდებელს მიეცემა სამუშაოს მთლიანად დასრულების შემდეგ შესაბამისი საბანკო გარანტიის წარდგენის საფუძველზე. გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების საგარანტიო პერიოდს.

ე) თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა გამარჯვებულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრ-

ულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ სამუშაოთა მოცულობების ღირებულების ანაზღაურებაზე;

ვ) მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების ყოველთვიური გადახდის სავარაუდო გრაფიკი. შემსყიდველი უფლებამოსილია არ განახორციელოს ანაზღაურება ხელშეკრულების ყოველთვიური გადახდის სავარაუდო გრაფიკის წარმოდგენამდე.

2.6.3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების საბოლოო ვადის დარღვევის შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,02% ოდენობით;

ბ) საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

გ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2,5%-ის ოდენობით.

2.6.4. გარანტია-დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი:

ა) საგარანტიო პერიოდი შეადგენს 24 თვეს სამუშაოების დასრულებიდან.

2.6.5. შესრულების ვადა:

ა) სამუშაოების სრული შესრულება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 1080 (ერთიათასოთხმოცი) კალენდარული დღის განმავლობაში;

ბ) თითოეულ ობიექტზე სამუშაოები უნდა განხორციელდეს მას შემდეგ, რაც ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტი შემსყიდველის მხრიდან მიიღებს წერილობით შეტყობინებას სამუშაოების დაწყების თაობაზე, რომელშიც განსაზღვრული იქნება სამუშაოების დაწყების კონკრეტული თარიღი;

გ) სამუშაოთა წარმოება უნდა განხორციელდეს ქ. ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის მე-3 ფაზის ფარგლებში მიმდინარე წყალარინების ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების პარალელურად, აღნიშნულ სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დათვალიერების აქტის შემდგომ, რის შესახებ შემსყიდველი ორგანიზაცია კონტრაქტორ კომპანიას აცნობებს წერილობით;

დ) ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელს უნდა შეეძლოს სამუშაოების დაწყება ერთდროულად მინიმუმ სამ ობიექტზე შემსყიდველის მხრიდან წერილობითი შეტყობინების მიღებიდან;

ე) სამუშაოების შესრულება უნდა განხორციელდეს ქვემოთ მოცემული გრაფიკის შესაბამისად. შესრულების ვადად განისაზღვრება შემსყიდველის მხრიდან წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ყოველი კონკრეტული ობიექტის გასწვრივ ცხრილში მითითე-

ბული კალენდარული დღე. ჯარიმის ოდენობად განისაზღვრება კონკრეტული ობიექტის გასწვრივ ცხრილში მითითებული პროცენტული ოდენობა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომელიც გამოითვლება კონკრეტული ობიექტის სახელშეკრულებო ღირებ-ულებიდან *(შენიშვნა: ვთქვათ, პრეტენდენტმა 9 მარტის ქუჩის ელექტრონული ვაჭრობის ან/და ხარჯთაღრიცხვის დაზუსტების შემდეგ სახელშეკრულებო ღირებულებად განსაზღვრა 436 267 ლარი. ამ შემთხვევაში პრეტენდენტმა სამუშაოები უნდა შეასრულოს შემსყიდველის მხრიდან წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 75 კალენდარული დღის განმავლობაში. ყოველ ვადაგადა-ცილებულ დღეზე დაეკისრება სახელშეკრულებო თანხის, მოცემულ შემთხვევაში 436 267 ლარის 0,3%):*

№	ობიექტების დასახელება	ვადა (წერილობითი შეტყობინების მიღებიდან, კალენდარული დღე)	ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, %
1	9 მარტის ქუჩა	75	0,3
2	26 მაისის ქუჩა	105	0,1
3	ბერიძის ქუჩა	75	0,5
4	დ. თავდადებულის ქუჩა	110	0,1
5	გრიბოედოვის ქუჩა	95	0,1
6	ჰეიდარ აბაშიძის ქუჩა	75	0,3
7	იმედაშვილის ქუჩა	145	0,1
8	ჯავახიშვილის ქუჩა	130	0,1
9	კალიევის ქუჩა	105	0,3
10	კანდელაკის ქუჩა	60	0,5
11	ლერმონტოვის ქუჩა	135	0,1
12	ლორიას ქუჩა	105	0,1
13	ლუკა ასათიანის ქუჩა	110	0,1
14	მერკვილაძის ქუჩა	60	0,5
15	ფალავანდიშვილის ქუჩა	75	0,5
16	პუშკინის ქუჩა	210	0,02
17	პუშკინისა და ტ. ბუსერიძის დამაკავშირებელი ახალი ქუჩა	95	0,3
18	სამხრეთის ქუჩა	30	0,5
19	შავშეთის ქუჩა	70	0,5
20	შევჩენკოს ქუჩა	105	0,3
21	სულაბერიძის ქუჩა	95	0,5
22	თაყაიშვილის ქუჩა	105	0,1
23	ვაჟა-ფშაველას ქუჩა	120	0,1
24	წერეთლის ქუჩა	170	0,1
25	ხიმშიაშვილის ქუჩა	110	0,1

2.7. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ:

ა) ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა სატენდერო დოკუმენტაციის **2.6** პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

2.8. პრეტენდენტი პირის რეკვიზიტები:

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება
- საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი
- პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
- ხელმძღვანელის სახელი, გვარი
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: ☎ ტელ.: ; 🖷 ფაქსი.: ; 📱 მობ.: ;
- ელექტრონული მისამართი, E-mail:
- ბანკის დასახელება
- ბანკის კოდი
- ანგარიშსწორების ანგარიში

2.9. პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს:

ა) სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტების ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, შემდეგი თანმიმდევრობით:

- ფასების ცხრილი;
- ტექნიკური პირობები;
- ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ;
- მონაცემები პრეტენდენტის ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ;
- ხელშეკრულების აუცილებელი პირობები;
- პრეტენდენტი პირის რეკვიზიტები;

ბ) ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

2.10. საკონტაქტო ინფორმაცია:

ა) სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25; პირველი სართული, მე-7 ოთახი; E mail: tender@batumi.ge; საკონტაქტო პირი: იამზე ზოსიძე, ტელეფონი: (0422) 27 26 18.

შენიშვნა: სატენდერო დოკუმენტაციის იმ ნაწილში (ტექნიკური პირობები, ხარჯთაღრიცხვა, დანართი და სხვა) სადაც მოცემული იქნება შესასყიდი მასალებისა და მოწყობილობის სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი, იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“.

2. დანართი №10

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

სატენდერო წინადადების ფასი _____

საერთო ხარჯთაღრიცხვა

№	დასახელება	ღირებულება (ლარი)
1	ე.წ. "ჭაობის დასახლებაში" ქუჩების გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების რეაბილიტაციის სამუშაოები	
2	ე.წ. "ჭაობის დასახლებაში" ქუჩების სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები	
სულ ჯამი		

შენიშვნა: ხარჯთაღრიცხვა იხილეთ დანართში N10 და N10ა (Excel).

შენიშვნა: პრეტენდენტის მიერ განფასებული ფასების ცხრილის წარმოუდგენლობა გამოიწვევს მის დისკვალიფიკაციას

* გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე რეზერვის თანხის გამოყენება მოხდება მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციის ნებართვით, მისივე ინიციატივით და/ან მიმწოდებლის მიერ დასაბუთებული და არგუმენტირებული წინადადებების განხილვისა და შეთანხმების საფუძველზე შემსყიდველი ორგანიზაციის სათანადო გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ.

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ ბ.ა.

2. დანართი №11

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)

ვის: ქ. ბათუმის მერიას
(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ _____
(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში "მიმწოდებელმა" _____ ტენდერში წარდგენილი თავისი
(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე

_____ _____
(თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია ----------

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

_____
(თარიღი)

_____
(მისამართი)